გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება № 88
2020 წლის 10 ივლისი
ქ. გორი

## გორის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების თაობაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

„საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტით, ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების გამო ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი გამოწვევის გათვალისწინებით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით შეიზღუდა საქართველოს კონსტიტუციის მე-13, მე-14, მე-15, მე-18, მე-19, 21-ე და 26-ე მუხლებში მითითებული უფლებები, ანუ, შეიზღუდა ყველა იმ მუხლის მოქმედება, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებულია ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებასთან. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით დამტკიცდა „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები“. აღნიშნული დადგენილებით, სხვა ღონისძიებებთან ერთად, საქართველოში შეჩერდა ეკონომიკური საქმიანობები, გარდა ადამიანის არსებობისათვის და ჯანმრთელობის დაცვისათვის საჭირო პროდუქციის რეალიზაციასთან და მომსახურებების გაწევასთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობისა.

გორის მუნიციპალიტეტს გაფორმებული აქვს რიგი ხელშეკრულებები, რომლითაც მუნიციპალიტეტის ქონება სარგებლობის უფლებით გაცემული აქვს სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობისათვის. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირების მიერ, ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საგანგებო მდგომარეობის არსებობის პერიოდში, სარგებლობის უფლებისათვის გათვალისწინებული ქირის თანხის გადახდა მუნიციპალიტეტისათვის ვერ ხერხდებოდა, შესაბისად, აღნიშნულ პირებს ეკისრებოდათ შესაბამისი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებებიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს გორის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები 40 (ორმოცი) პირი გათავისუფლდეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების 2020 წლის 23 მარტიდან 2020 წლის 21 მაისამდე პერიოდში დარღვევისთვის დაკისრებული

პირგასამტეხლოსგან ჯამში 9053,25 (ცხრა ათას ორმოცდაცამეტი ლარი და ოცდახუთი თეთრი) ლარის ოდენობით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, დანართი 1-ით (თან ერთვის 3 (სამი) ფურცლად) გათვალისწინებული გორის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები 40 (ორმოცი) პირი გათავისუფლდეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების 2020 წლის 23 მარტიდან 2020 წლის 21 მაისამდე პერიოდში დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან, ამავე დანართით განსაზღვრული თანხის ოდენობების შესაბამისად, ჯამში 9053,25 (ცხრა ათას ორმოცდაცამეტი ლარი და ოცდახუთი თეთრი) ლარის ოდენობით.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე — დავით რაზმაძე

| | | | დანართი 1 |
|---|---|---|---|
| N | პირის (ფიზიკური ან იურიდიული) სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდის ან პირადი ნომრის მითითებით | ხელშეკრულების სახელწოდება, თარიღი და ნომერი | **2020 წლის 23 მარტიდან 2020 წლის 21 მაისამდე პერიოდში დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა** |
| 1 | შპს გორგგია XXI ს/ნ 217893475 | იჯარა 25.12.2015 | 300 |
| 2 | ELIT-SERVICE ს/ნ 40090129 | იჯარა 27.08.2013 | 378 |
| 3 | სტალინის იდეურ მემკვიდრეთა საზოგადოება | იჯარა 23.10.2013 | 2.25 |
| 4 | | | 49 |
| 5 | შპს KMA ს/ნ 417879503 | იჯარა 09.12.2015 | 22 |
| 6 | ნინო ყანჩაველი N59001009637 | იჯარა 12.07.2016 | 300 |
| 7 | მამუკა ბერიკაშვილი N59001027891 | იჯარა 11.10.2015 | 300 |
| 8 | შპს ალმა ს/ნ 204873388 | N 1 იჯარა 09.11.2017 | 150 |
| 9 | ყავის სახლი შანზელიზე ს/ნ 4017878513 | იჯარა 25.04.2017 | 150 |
| 10 | შპს ალმა ს/ნ 204873388 | N 2 იჯარა 24.05.2017 | 150 |
| 11 | შპს ალმა ს/ნ 204873388 | N 3 იჯარა 24.05.2017 | 150 |
| 12 | შპს ახალი ქსელები ს/ნ 211326732 | იჯარა 02.02.2016 | 300 |
| 13 | კობა ყავლაშვილი 59004000088 | იჯარა 21.02.2017 | 150 |
| 14 | შპს დუდუ პლიუსი ს/ნ 417882599 | იჯარა 30.06.217 | 52 |
| 15 | დავით შალამბერიძე N53001003610 | იჯარა 24.05.2018 | 300 |
| 16 | თამაზ კარელიზე N59001001328 | იჯარა 04.05.2018 | 300 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 17 | დავით დადიანი N59001008215 | იჯარა 16.05.2018 | 300 |
| 18 | თამარ ჯავახიშვილი N59001024964 | N 1 იჯარა 09.07.2018 | 150 |
| 19 | თამარ ჯავახიშვილი N59001024964 | N 2 იჯარა 09.07.2018 | 150 |
| 20 | კახაბერ ლალიაშვილი N59001026892 | N1 იჯარა 30.07.2018 | 300 |
| 21 | მანანა ქარქიევი N 59001030147 | იჯარა 19.07.2018 | 150 |
| 22 | თენგიზ თოფჩიშვილი N59001000804 | იჯარა 14.09.2018 | 300 |
| 23 | სპს ჯეო დისტრიბუშენ გრუპი ს/ნ 404434411 | იჯარა 04.10.2018 | 150 |
| 24 | შპს გორგგია XXI ს/ნ 217893475 | იჯარა N2 01.10.2018 | 300 |
| 25 | დავით ლომიტაშვილი N59001001009 | აღნაგობა 25.05.2018 | 150 |
| 26 | ზაზა ბაზერაშვილი N01006003503 | იჯარა 04.10.2018 | 300 |
| 27 | ნიკოლოზ ჯალაბაძე N59001010059 | იჯარა 01.11.2018 | 300 |
| 28 | კახაბერ ლალიაშვილი N59001026892 | იჯარა N25.12.2018 | 300 |
| 29 | ქეთევან ქველიძე N 59001112395 | იჯარა 25.12.2018 | 300 |
| 30 | ალექსანდრე არევაძე N59001012250 | იჯარა 24.10.2019 | 300 |
| 31 | შპს ახალი ქსელები ს/ნ 211326732 | იჯარა N2 21.04.2019 | 300 |
| 32 | ნინო ტატიშვილი N590010365020 | იჯარა 29.07.2019 | 150 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 33 | გიორგი კანდელაკი N59001000989 | იჯარა 25.08. 2019 | 300 |
| 34 | გივი სადაღაშვილი N59001083511 | იჯარა 25.08.2019 | 300 |
| 35 | შპს ალდანუმა ს/ ნ417877792 | იჯარა 25.08.2019 | 300 |
| 36 | დავით ტაბატაძე N59001097693 | იჯარა 20.09.2019 | 300 |
| 37 | ისაკ ელიშაყოვი N 59001020237 | იჯარა 22.10.2019 | 300 |
| 38 | ნიკა ახალკაცი N59001113675 | იჯარა 12.11.2019 | 150 |
| 39 | შპს პანაცია ს/ნ 417877284 | იჯარა 24.12.2019 | 300 |
| 40 | ზურაბ სადაღაშვილი N59001076539 | იჯარა 30.04.2015 | 150 |
| 41 | | | |
| 42 | | | |
| 43 | | | |
| 44 | ჯამი | | 9053.25 |
| 45 | | | |
| 46 | | | |
| 47 | | | |
| 48 | | | |
| 49 | | | |
| 50 | | | |
| 51 | | | |
| 52 | | | |
| 53 | | | |
| 54 | | | |
| 55 | | | |
| 56 | | | |
| 57 | | | |